



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების
შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ
წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

17 მაისი 2022 წ.



დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი: მაკა

გვარი: კარტოზია



ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	200002120

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ¹	სამართალი
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე ²	მეექვსე
4	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით ³	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) ⁴	0421 სამართალი
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240
9	განხორციელების ადგილი ⁵	საქართველო, თბილისი, 0159 ირინა ენუქიძის ქუჩა N3 (დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ)

¹ დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს

² ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

⁴ განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)

⁵ ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი



10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება MES 5 21 0000291500 (26.03.2021)
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2021 წლის 12 მარტი
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	ერთი წელი; 2022 წლის 12 მარტი
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2028 წლის 12 მარტი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		



3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			



შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი⁶

1. დარგობრივი უცხო ენა დაემატოს როგორც სავალდებულო კომპონენტი, უმჯობესი იქნება თუ მოხდება მისი შესწავლა ორი სემესტრის განმავლობაში;
2. პროგრამაში თავისუფალი კრედიტების რაოდენობა შემცირდეს 35 დან, მაქსიმუმ 25 კრედიტამდე;
3. პროგრამას სავალდებულო კომპონენტად დაემატოს შესავალი საკონსტიტუციო სამართალში;
4. „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“ უნდა მოხდეს ძირითადი ლიტერატურის განახლება;
5. „ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების სილაბუსში კონკრეტული უფლებების კონსტიტუციური ნუმერაცია შესაბამისობაში მოვიდეს კონსტიტუციის მოქმედ ტექსტთან;
6. საგანში „საკონსტიტუციო კონტროლი და სამართალწარმოება“ აუცილებელია განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა;
7. „საქართველოს საკონსტიტუციო (სახელმწიფო მოწყობის) სამართლის“ სილაბუსში აუცილებელია დაკონკრეტდეს ისწავლება თუ არა სახელმწიფო ფინანსები და კონტროლი, ასევე სახელმწიფო თავდაცვა და უსაფრთხოება;
8. საჯარო სამართლის რეპეტიტორიუმში საკონსტიტუციო სამართალთან და ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების თემატიკასთან დაკავშირებული სავალდებულო ლიტერატურა საჭიროებს განახლებას;
9. საჯარო სამართლის რეპეტიტორიუმის სილაბუსსა და ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სილაბუსში აღმოიფხვრას გადაფარვის პრობლემა;
10. „ელექტრონული ხელშეკრულება და მისი სამართლებრივი რეგულირების“ სილაბუსის შინაარსი ჩამოყალიბდეს საგნის სათაურის შესაბამისად;
11. მემორანდუმების ტექსტში განისაზღვროს კონკრეტული დაწესებულების მიერ სავარაუდო პრაქტიკის გასავლელად მისაღები სტუდენტების რაოდენობა;
12. სილაბუსების შეფასების ნაწილი ჩამოყალიბდეს მარტივად აღსაქმელად, ჩაიშალოს კომპონენტებად, კერძოდ: შუალედური შეფასება, რომელიც შედგება შუალედური გამოცდისა და აქტივობებისაგან და ასევე ფინალური შეფასება. თითოეულ კომპონენტს მიენიჭოს შესაბამისი მაქსიმალური ქულა და დეტალურად ჩაიშალოს შეფასების კრიტერიუმები.

⁶ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით



საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁷

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (MES 5 21 0000291500, 26.03.2021, ძალაში შევიდა 12.03.2021) გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების მიზნით უმაღლესი სასწავლებლის მიერ შემუშავებული იქნა რეკომენდაციების/რჩევების რეალიზების სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც შესასრულებელი სამუშაო გადანაწილდა შესაბამის სამსახურზე/პერსონალზე და განისაზღვრა შესრულების დრო. აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების/რჩევების შესასრულებლად შექმნილ ჯგუფში მონაწილეობას იღებდნენ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტი, სამართლის სკოლის დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა კომიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სამართლის პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი სასწავლო კურსის ხელმძღვანელები.

უმაღლესი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა/ანალიზის საფუძველზე, გამოიკვეთა რომ აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ შესრულებულია.

⁷ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.



რჩევები⁸

1. თავისუფალი კრედიტის ფარგლებში სტუდენტს უფრო მეტი, სხვადასხვა საფეხურის (A1; A2; B1; B2) უცხო ენის არჩევის შესაძლებლობა უნდა მიეცეს, რათა მარტივად შეძლოს პროფესიული უცხო ენის შესწავლა;
2. რეპეტიტორიუმების მოდულის საგნების (საჯარო, კერძო და სისხლის სამართალი) კრედიტების მოცულობა შემცირდეს 7 კრედიტიდან 5 კრედიტამდე;
3. პროგრამას არჩევით კომპონენტად უნდა დაემატოს საბაკალავრო ნაშრომი და ასევე აკადემიური კვლევის კომპონენტი;
4. სასურველი იქნება, თუ საგანს - „კრიტიკული აზროვნება და აკადემიური წერა“ შეეცვლება სახელწოდება, ან პროგრამას დაემატება სავალდებულო საგნის სტატუსით „აკადემიური წერა იურისტებისათვის“;
5. იმის გათვალისწინებით, რომ აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან შეადგენს 62/48, ხოლო ბოლო წლების განმავლობაში აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებელი შეადგენს 11,7%, მაშინ როდესაც მოწვეული პერსონალის მაჩვენებელი 19.2% პროცენტით განისაზღვრება, მიზანშეწონილია პროგრამის ეფექტური, სტაბილური განხორციელებისათვის გათვალისწინებული იქნეს მითითებული ფაქტორი და გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა მოწვეულ პერსონალთან მიმართებით;
6. სასურველია აქცენტი გაკეთდეს აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო ნაშრომთა საერთაშორისო რეპუტაციულ ჟურნალებში გამოქვეყნების მიმართულებით;
7. უსდ-ს ბიუჯეტიდან მოხდეს გამოყოფა/თვალსაჩინოდ გაწერა დაფინანსების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის ან/და მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით;
8. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა გააქტიუროს (შეიძინოს) საკანონმდებლო მაცნეს დამატებით რამდენიმე მომხმარებელი, რაც საშუალებას მისცემს აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს დაუბრკოლებრივ ერთობლივად ისარგებლონ ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ასევე მის ფარგლებს გარეთ.
9. საგნები: „კრიმინოლოგია“, „კრიმინალისტიკის საფუძვლები“ და „გამოძიების საფუძვლები“ სავალდებულო ბლოკიდან გადავიდეს არჩევით ნაწილში;

⁸ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)



საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁹

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიში არ შეიცავს ინფორმაციას რჩევების განხილვისა და გათვალისწინების შესახებ, რაც სავალდებულო მოთხოვნას არ წარმოადგენს.

დამატებითი ინფორმაცია¹⁰

უნივერსიტეტის მიერ არ მომხდარა დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა.

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ¹¹

სტანდარტის დასახელება ¹²	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება ¹³	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია I ¹⁴	დარგობრივი უცხო ენა დაემატოს როგორც სავალდებულო კომპონენტი, უმჯობესი იქნება, თუ მოხდება მისი შესწავლა ორი სემესტრის განმავლობაში
შეფასება	უმაღლესი სასწავლებლის მიერ წარმოდგენილი სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიხედვით, პროგრამას დამატებული აქვს პროფესიული უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სავალდებულო კომპონენტი, რომელიც ისწავლება III სემესტრში, 1 სემესტრის განმავლობაში. საბჭოს რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა ¹⁵ I	N/A

⁹ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

¹⁰ საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

¹¹ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

¹² სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

¹³ კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

¹⁴ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

¹⁵ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



შეფასება	N/A
მტკიცებულებ(ებ)ა	დანართი 2. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის თავისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია II ¹⁶	პროგრამაში თავისუფალი კრედიტების რაოდენობა შემცირდეს 35 დან, მაქსიმუმ 25 კრედიტამდე
შეფასება	<p>უმაღლესი სასწავლებლის მიერ წარმოდგენილი სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიხედვით, თავისუფალი სავალდებულო კრედიტების რაოდენობა არის 25. აქედან 20 კრედიტი მინიჭებული აქვს ინსტრუმენტული დისციპლინების მოდულს - უცხო ენა I (ინგლისური/გერმანული/ფრანგული); უცხო ენა II(ინგლისური/გერმანული/ფრანგული) ; კრიტიკული აზროვნება და აკადემიური წერა; საინფორმაციო ტექნოლოგიები; ზოგადი მათემატიკური უნარები) და 5 ქულა ზოგად საგანმანათლებლო დისციპლინების მოდულს (კულტურულ-ისტორიული და სოციალური მიმართულება) - მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობა და ქართული კულტურა; საქართველოს და ცივილიზაციის ისტორია; ჰოლოკოსტის ისტორია; (პოსტ) ტოტალიტარიზმის რეპრეზენტაცია გარდატეხის ლიტერატურაში; ხელოვნების თეორია; ფილოსოფიური აზროვნების სოციალურ-კულტურული პარადიგმები; დემოკრატია და მოქალაქეობა; სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო; ფსიქოლოგია; ზეპირი და წერილი ეტიკეტი ოფიციალურ ურთიერთობებში.</p> <p>საბჭოს რეკომენდაცია შესრულებულია.</p>
რჩევა ¹⁷ II	N/A

¹⁶ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



შეფასება	N/A
მტკიცებულებ(ებ)ა	დანართი 2. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია II ¹⁸	პროგრამას სავალდებულო კომპონენტად დაემატოს შესავალი საკონსტიტუციო სამართალში
შეფასება	უმალესი სასწავლებლის მიერ წარმოდგენილი სამართლის საბაკალავრო პროგრამის და სასწავლო კურსის „შესავალი საკონსტიტუციო სამართალში“ სილაბუსის მიხედვით, დგინდება რომ სამართლის საკალავრო პროგრამას სავალდებულო საგნად დაემატა „შესავალი საკონსტიტუციო სამართალში“, ისწავლება I სემესტრში და მინიჭებული აქვს 5 კრედიტი. საბჭოს რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა ¹⁹ II	N/A
შეფასება	N/A
მტკიცებულებ(ებ)ა	დანართი 2. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა დანართი 3. სილაბუსი „შესავალი საკონსტიტუციო სამართალში“

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
-----------------------	--

¹⁷ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

¹⁸ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

¹⁹ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია II ²⁰	„ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“ უნდა მოხდეს ძირითადი ლიტერატურის განახლება
შეფასება	<p>უმაღლესი სასწავლებლის მიერ წარმოდგენილ სასწავლო კურსის „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“ ძირითადი სავალდებულო ლიტერატურა შეცვლილია და განსაზღვრული აქვს ახალი ლიტერატურა, კერძოდ,</p> <ol style="list-style-type: none"> 1. კუბლაშვილი, კ., ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, თბილისი 2019; 2. ერემაძე ქ., ძირითადი უფლებები თავისუფლებებისთვის, თბილისი, 2020. <p>საბჭოს რეკომენდაცია შესრულებულია.</p>
რჩევა ²¹ II	N/A
შეფასება	N/A
მტკიცებულებ(ებ)ა	დანართი 4. სილაბუსი „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია II ²²	„ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების“ სილაბუსში კონკრეტული უფლებების კონსტიტუციური ნუმერაცია შესაბამისობაში მოვიდეს კონსტიტუციის მოქმედ ტექსტთან.
შეფასება	უმაღლესი სასწავლებლის მიერ წარმოდგენილი

²⁰ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

²¹ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

²² საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	სასწავლო კურსის „ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების“ სილაბუსში კონსტიტუციური ნუმერაცია შეცვლილია და შესაბამისობაში მოქმედი კონსტიტუციის ტექსტთან. საბჭოს რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა ²³ II	N/A
შეფასება	N/A
მტკიცებულებ(ებ)ა	დანართი 4. სილაბუსი „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია II ²⁴	საგანში „საკონსტიტუციო კონტროლი და სამართალწარმოება“ აუცილებელია განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა
შეფასება	უმაღლესი სასწავლებლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსის „საკონსტიტუციო კონტროლი და სამართალწარმოება“ სილაბუსის მიხედვით, სავალდებულო ლიტერატურას დამატებული აქვს შემდეგი სახელმძღვანელო: ა. ფირცხალაშვილი, ბ. ლოლაძე, ზ. მაჭარაძე, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, თბილისი, 2021. საბჭოს რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა ²⁵ II	N/A
შეფასება	N/A
მტკიცებულებ(ებ)ა	დანართი 5. სილაბუსი „საკონსტიტუციო კონტროლი

²³ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁴ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁵ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



	და სამართალწარმოება“
--	----------------------

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია II ²⁶	„საქართველოს საკონსტიტუციო (სახელმწიფო მოწყობის) სამართლის“ სილაბუსში აუცილებელია დაკონკრეტდეს ისწავლება თუ არა სახელმწიფო ფინანსები და კონტროლი, ასევე სახელმწიფო თავდაცვა და უსაფრთხოება
შეფასება	უმაღლესი სასწავლებლის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს საკონსტიტუციო (სახელმწიფო მოწყობის) სამართლის“ სილაბუსში სწავლების XV კვირაში სალექციო თემად განსაზღვრულია: სახელმწიფო ფინანსების და კონტროლის, სახელმწიფო თავდაცვისა და უსაფრთხოების კონსტიტუციური რეგულირება საქართველოში. საბჭოს რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა ²⁷ II	N/A
შეფასება	N/A
მტკიცებულებ(ებ)ი ^ა	დანართი 6. სილაბუსი „საქართველოს საკონსტიტუციო (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი“

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია II ²⁸	საჯარო სამართლის რეპეტიტორიუმში საკონსტიტუციო სამართალთან და ადამიანის

²⁶ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁷ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁸ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	ძირითადი უფლებების და თავისუფლებების თემატიკასთან დაკავშირებული სავალდებულო ლიტერატურა საჭიროებს განახლებას
შეფასება	<p>უმაღლესი სასწავლებლის მიერ წარმოდგენილ სასწავლო კურსის „საჯარო სამართლის რეპეტიტორიუმის“ სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურად განახლებულია, კერძოდ, დამატა: 1. კობახიძე, ი., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2019;</p> <p>2. ფირცხალაშვილი, ა., მირიანაშვილი, გ., საქართველოს სახელმწიფო მოწყობის საფუძვლები, თბილისი, 2018;</p> <p>3. ავტორთა კოლექტივი (რედ. გეგენავა, დ.), შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი, 2019;</p> <p>4. ერემაძე ქ., ძირითადი უფლებები თავისუფლებებისთვის, თბილისი, 2020;</p> <p>5. კუბლაშვილი, კ., ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, თბილისი, 2019;</p> <p>6. პაატა ტურავა, ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, თბილისი 2020;</p> <p>7. ა. ფირცხალაშვილი, ბ. ლოლაძე, ზ. მაჭარაძე, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, თბილისი, 2021.</p> <p>საბჭოს რეკომენდაცია შესრულებულია.</p>
რჩევა ²⁹ II	N/A
შეფასება	N/A
მტკიცებულებ(ებ)ა	დანართი 7. სილაბუსი „საჯარო სამართლის რეპეტიტორიუმში“

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი

²⁹ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



რეკომენდაცია II ³⁰	საჯარო სამართლის რეპეტიტორიუმის სილაბუსსა და ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სილაბუსში აღმოიფხვრას გადაფარვის პრობლემა
შეფასება	უმაღლესი სასწავლებლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსების „საჯარო სამართლის რეპეტიტორიუმი“ და „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“ სილაბუსების შესწავლა/ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ აღნიშნული სასწავლო კურსების სალექციო თემების შინაარსი ერთმანეთისგან განსხვავებულია და გადაფარვას ადგილი არა აქვს. საბჭოს რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა ³¹ II	N/A
შეფასება	N/A
მტკიცებულებ(ებ)ა	დანართი 4. სილაბუსი „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“ დანართი 7. სილაბუსი „საჯარო სამართლის რეპეტიტორიუმი“

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია II ³²	„ელექტრონული ხელშეკრულება და მისი სამართლებრივი რეგულირების“ სილაბუსის შინაარსი ჩამოყალიბდეს საგნის სათაურის შესაბამისად
შეფასება	უმაღლესი სასწავლებლის მიერ ანგარიშისთვის წარმოდგენილი სასწავლო კურსის „ელექტრონული ხელშეკრულება და მისი სამართლებრივი

³⁰ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

³¹ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

³² საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>რეგულირება“ სილაბუსის შინაარსის მიხედვით შესასწავლი საკითხებია: ელექტრონული ხელშეკრულების დადების თავისებურებები (მისი წარმოშობა, სამართლებრივი წინამძღვრები, მოკლე ისტორიული ექსკურსი; ელექტრონული ხელშეკრულების დადების თავისებურებები (შეთანხმება ელექტრონულ ხელშეკრულებაში-ოფერტი, აქცეპტი, ელექტრონული ხელშეკრულების დეფინიცია); ელექტრონული ხელშეკრულების დადების თავისებურებები (ელექტრონული ხელშეკრულების დადების მომენტი და საშუალებები. ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დადებული ხელშეკრულებები; ვებ-გვერდის მეშვეობით დადებული ხელშეკრულებები); ელექტრონულ ხელშეკრულებაში სუბიექტების იდენტიფიკაცია და ადგილმდებარეობის დადგენა. მხარეთა შეთანხმება არსებით პირობებზე. ელექტრონული შუამავლების კავშირი ელექტრონული ხელშეკრულების დადებასთან; ხელშეკრულების ფორმები, ელექტრონული ხელშეკრულების ფორმა; ხელშეკრულების ელექტრონული და ტექსტური ფორმა საქართველოს კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში; ელექტრონული ხელმოწერის სამართლებრივი რეგლამენტაცია. ცნება, არსი, ტექნოლოგიები; ელექტრონული ხელმოწერა, ელექტრონული შტამპი, მათი სახეები. ელექტრონული ხელმოწერების პრეზენტაცია; ელექტრონული ფორმით დადებული ხელშეკრულების მხარეები; ელექტრონული ფორმით დადებული ხელშეკრულების მხარეთა უფლებამოვალეობანი (ინფორმირების ვალდებულება); ელექტრონული ფორმით დადებული ხელშეკრულების მხარეთა უფლებამოვალეობანი (უარყოფის უფლება და სტანდარტული პირობების კონტროლი ელექტრონულ ხელშეკრულებაში); მომხმარებელთა უფლებების დაცვის გარანტიები და პრობლემები ქართულ კანონმდებლობაში; გამოსაყენებელი სამართალი ელექტრონულ ხელშეკრულებაში, უცხოური და ქართული რეგულირება. სილაბუსის შინაარსი შესაბამისობაშია სათაურთან.</p>
--	---



	საბჭოს რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა ³³ II	N/A
შეფასება	N/A
მტკიცებულებ(ებ)ა	დანართი 8. სილაბუსი „ელექტრონული ხელშეკრულება და მისი სამართლებრივი რეგულირება

სტანდარტის დასახელება	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
კომპონენტის დასახელება	3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
რეკომენდაცია II ³⁴	მემორანდუმების ტექსტში განისაზღვროს კონკრეტული დაწესებულების მიერ სავარაუდო პრაქტიკის გასავლელად მისაღები სტუდენტების რაოდენობა
შეფასება	<p>უმაღლესი სასწავლებლის მიერ წარმოდგენილია მემორანდუმები ურთიერთთანამშრომლობის შესახებ სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციასთან“, ააიპ „ჩემი ადვოკატთან“, შპს „ბი ელ ბი გრუპთან“ (შპს ჯი ეი თი ლეგალ ქონსალტინგ გრუპს“ სამართალმემკვიდრე), სადაც ჩანს, რომ სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციაში“ მედიაციის პრაქტიკული კურსის გავლის შესაძლებლობა განსაზღვრულ სემესტრში ექნება 20 სტუდენტს; ააიპ „ჩემი ადვოკატი“ უზრუნველყოფს სულ მცირე 20 ბაკალავრის და 20 მაგისტრანტისთვის პრაქტიკული კურსის გავლის შესაძლებლობას, ასევე განსაზღვრულ სემესტრში; ხოლო შპს „ბი ელ ბი გრუპში“ სისხლის სამართლის მიმართულებით, განსაზღვრულ სემესტრში პრაქტიკულ კურსს გაივლის 3 სტუდენტი.</p> <p>საბჭოს რეკომენდაცია შესრულებულია.</p>

³³ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

³⁴ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



რჩევა ³⁵ II	N/A
შეფასება	N/A
მტკიცებულებ(ებ)ა	<p>დანართი 9. „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტსა“ და სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“ შორის გაფორმებული მემორანდუმი.</p> <p>„გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტსა“ და „ა. (ა). ი.პ. ჩემი ადვოკატს“ შორის გაფორმებული მემორანდუმი.</p> <p>„გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტსა“ და შპს „სი ელ ბი გრუპს“ (ყოფილი შპს „ჯი ეი თი ლეგალ ქონსალტინგ გრუპს“) შორის გაფორმებული მემორანდუმი.</p>

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.6. სტუდენტების შეფასება
რეკომენდაცია II ³⁶	სილაბუსების შეფასების ნაწილი ჩამოყალიბდეს მარტივად აღსაქმელად, ჩაიშალოს კომპონენტებად, კერძოდ: შუალედური შეფასება, რომელიც შედგება შუალედური გამოცდისა და აქტივობებისაგან და ასევე ფინალური შეფასება. თითოეულ კომპონენტს მიენიჭოს შესაბამისი მაქსიმალური ქულა და დეტალურად ჩაიშალოს შეფასების კრიტერიუმები.
შეფასება	უმაღლესი სასწავლებლის მიერ ანგარიშისთვის წარმოდგენილ ყველა სილაბუსში დეტალურად არის ჩაშლილი სტუდენტის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები, გაწერილია ღია კითხვის, კაზუსის, პრეზენტაციის, წერითი ნაშრომის და ა.შ. შეფასებისთვის განსაზღვრული კრიტერიუმები. ასევე უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში „სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის

³⁵ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

³⁶ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	რეგლამენტი“ გაწერილია სტუდენტის შეფასების სისტემა. საბჭოს რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა ³⁷ II	N/A
შეფასება	N/A
მტკიცებულებ(ებ)ა	<p>დანართი 3. სილაბუსი „შესავალი საკონსტიტუციო სამართალში“</p> <p>დანართი 4. სილაბუსი „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“</p> <p>დანართი 5. სილაბუსი „საკონსტიტუციო კონტროლი და სამართალწარმოება“</p> <p>დანართი 6. სილაბუსი „საქართველოს საკონსტიტუციო (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი“</p> <p>დანართი 7. სილაბუსი „საჯარო სამართლის რეპეტიტორიუმი“</p> <p>დანართი 8. სილაბუსი „ელექტრონული ხელშეკრულება და მისი სამართლებრივი რეგულირება“</p> <p>დანართი 10. სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგლამენტი</p>

თანდართული დოკუმენტაცია³⁸

- უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ 2022 წლის 12 მარტს წარმოდგენილი ანგარიში;

³⁷ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

³⁸ თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა



- დანართი 1. რეკომენდაციების რეალიზების სამოქმედო გეგმა (2 ფურცელი);
- დანართი 2. სამართლის საბაკალავრო პროგრამა (30 ფურცელი);
- დანართი 3. სილაბუსი „შესავალი საკონსტიტუციო სამართალში“ (12 ფურცელი);
- დანართი 4. სილაბუსი „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“ (13 ფურცელი);
- დანართი 5. სილაბუსი „საკონსტიტუციო კონტროლი და სამართალწარმოება“ (13 ფურცელი);
- დანართი 6. სილაბუსი „საქართველოს საკონსტიტუციო (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი“ (13 ფურცელი)
- დანართი 7. სილაბუსი „საჯარო სამართალის რეპეტიტორიუმი“ (14 ფურცელი)
- დანართი 8. სილაბუსი „ელექტრონული ხელშეკრულება და მისი სამართლებრივი რეგულირება“ (18 ფურცელი);
- დანართი 9. მემორანდუმები (11 ფურცელი);
- დანართი 10. „სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგლამენტი“ (30 ფურცელი);
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი MES 6 21 0000291303 (26/03/2021);
 - საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება MES 5 21 0000291500 (26/03/2021)

ექსპერტის ხელმოწერა